

# ლიტერატურის მცოდნეობა

ნესტან სულავა

## არსენ ბულმაისიმის ქმ – „ბალობანი ფილისა მოციქულისა ნინოდსი“

XIII საუკუნის მეორე მეოთხედის თვალსაჩინო საეკლესიო მოღვაწემ, საქართველოს კათალიკოსმა, ქართველმა ჰიმნოგრაფმა – პოეტმა არსენ ბულმაისიმისძემ საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მისი საგალობლები სავსეა მჭევრმეტყველურად გამოთქმული აზრებით, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებითა და საშუალებებით, სიმბოლური და ალეგორიული სახეებითა და ხატებით. ყოველი ნაწარმოები ამჟღავნებს და ადასტურებს ჰიმნოგრაფის ღრმა თეოლოგიურ-ფილოსოფიურ განათლებას, ღვთისმეტყველებაში ღრმად განსწავლულობას, ეროვნულ სულისკვეთებას.

ასეც იყო მოსალოდნელი. მათი ავტორი ზომ საქართველოს კათალიკოსი იყო ჩვენი ქვეყნის ძნელბედობის ჟამს. საგალობლებში დამუშავებულია ჰიმნოგრაფიისათვის დამახასიათებელი და ცნობილი ზოგადქრისტიანული მოტივები, წუთისოფლის წარმავლობის, მარადიული ღირებულებებისა და ამქვეყნიური პატივ-დიდების დაპირისპირების, საკუთარ ცოდვათა მონანიების, სულის ხსნის, ვედრების, წყალობის, სულიერი ამაღლების მოტივები.

არსენ ბულმაისიმისძის ჰიმნოგრაფიულ მემკვიდრეობაში გამოირჩევა ქართველთა განმანათლებლის, წმინდა ნინოსადმი მიძღვნილი საგალობელი, რომელიც შემონახულა ხელნაწერში H-1349 [ფ.3-9] (იგი მოთავსებულია აგრეთვე XVII-XVIII საუკუნეების სადღესასწაულოებშიც) და რომელსაც შემდეგი აკროსტიქი აქვს: „ქებით უგალობ სასოსა ჩემსა ნინოს. არსენი“ თხზულება წარმოადგენს

იაშვიკურ გალობას, რომელიც 33 ხუთსტრიქონიანი სტროფისაგან შედგება, იყოფა რვა გალობად და თითოეული მათგანი მთავრდება ღვთისმშობლისისადმი მიძღვნილი სტროფით. არსენის საგალობელი, როგორც ჰიმნოგრაფიულ ძეგლთა უმრავლესობა, აგებულია ჰიმნოგრაფიული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. იწყება ქრისტესადმი მიმართვა-თხოვნით, რომ ჰიმნოგრაფს შეაძლებინოს მოციქულთა სწორის, საგალობლის მიხედვით, მოციქულის, წმინდა ნინოს ღირსეული შესხმა:

„ქრისტე, აღახვენ ძნობად ბაგენი ჩემნი  
ქალწულისა დედისა მოციქულისა  
და ქადაგისა შენისა ნინოდს შესხმად!  
განმინათლე გონებად, რადთა მიუზღნე  
ღირსსა მას ღირსნი სიტყუათა ყუავილნი“.

როგორც მოსალოდნელი იყო, საგალობელში ყურადღება გამახვილებულია ნინოს დამსახურებაზე საქართველოს გაქრისტიანების საქმეში. აღნიშნულია, რომ „სულითა მოძრავმან ბრძენმან“ წმინდა ნინომ მისთვის უცნობ ენაზე იქადაგა ქრისტიანობა, „ბარბაროზნი და უყიკნი ქედფიცხელნი... სიტკბოებათა თვსთა მიერ ღუმელით კელთ უსხნა შემოქმედსა“, რის შედეგადაც „უცნობელთა და მძიმეთა საბურველი გულითად აღგუეკსნა“, „განღებულ იქმნა ქუესკნელისა ბჭეები, მკუდარნი, მას შინა პყრობილნი სატანადსნი, განვთავისუფლდით შემოსლვითა შენითა, არმაზს შეედვა ძრწოლად მეხისტეხითა და ზედენისნი უკმარ იქმნეს სიცბილნი“. იგი „თვსა ერთგული მახარებელგყო ღმერთმან... მოგავლინა და მოგვწოდა ძედ თვსად“. ნინოს ქადაგებისა და მოღვაწეობის შედეგად „აღიფხურნეს კერპნი საფარველითურთ მათით და აღემართნეს ქრისტეს ეკლესიანი, ჯუარსა ქრისტესსა კუართსა თანა და სუეტსა, ნაცვლად არმაზ ბილწისა, უგალობენ შვილნი სიონისანი, შენგან განათლებულნი“.

საგალობელში ნინო მოიხსენიება, როგორც „ქალწული დედის მოციქული და ქადაგი“; „სულითა მობრავი ბრძენი“. „ღმერთისა მხილველ“, ანუ საღვთო სიბრძნისა და სწავლების მქონე-ღვთივგანბრძნობილი, ღვთის ნების აღმსრულებელი; „ტრედი წმიდა, დასავალით მკმობელი“; „წილხდომილთა შენთა განმანათლებელი“; „მოციქული ქრისტესი“; „ლომებრ ახოვან-ბრძენი გულითა“; „ორბებრ გუგას შინა მხედველობითსა შეიკრიბე შენ სივრცე სოფლისად“;

„კელოვანი მკურნალი და მოძღუარი“; „ქალწული, ქრისტეს ქადაგი და დიდი მოციქული“; „ქალწულებითა შემკობილი“ „მახარობელი ცხორებისანი“; „ტყუე და ტყუეთა მკსნელი“; „ღირსი ნინო“; „დიდებული“; „ქადაგი და განმანათლებელი ჩუენი“. აქვე აღვნიშნავთ, რომ საგალობლის 8 სტროფი ღვთისმშობელს ეძღვნება და ჰიმნოგრაფი მას მოიხსენიებს, როგორც ქალწულს: „ქალწულო ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო“; „მაცხოვარებაო ჩუენო“; „ქრისტეს ღმრთისა დედაო“; „არსთა მოქმედისა ქრისტეს ღმრთისა დედაო“; „არსთა მოქმედისა ღმრთისა დედაო“; „წმიდაო დედაო და სძალო“. ჰიმნოგრაფი წმიდა ნინოს იმგვარი ნიშნებით წარმოაჩენს, როგორც ღვთისმშობელს, რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქალწულობითა და წმიდა სძლობით მოხსენიება.

არსენი საგალობელი წარმოადგენს ნინოს სამადლობელს, ამ თვალსაზრისით იგი შეიძლება შევადაროთ „აკათისტოს“, რომელიც ღვთისმშობელის სამადლობელ საგალობლადაა აღიარებული. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა წმინდა ნინოსადმი მიძღვნილი ვედრების ციკლის საგალობელთა არსებობა, რომელიც სადიდებულ-სამადლობელზე ნაკლებ გავრცელებული არაა, როგორც ეს ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ საგალობლებში გვხვდება, როდესაც ჰიმნოგრაფები ღვთისმშობელს ვედრებით მიმართავენ, რადგან ისაა შუამავალი ადამიანსა და მაცხოვარს შორის; ნინო კი შუამდგომია ქრისტესა და ქართველობას შორის, წმინდა ნინო ქართველთათვის ღვთისმშობლის მონაცვლეა [რ. სირაძე]. ამას ისიც ადასტურებს, რომ წმინდა ნინო ვაზის ჯვრით შემოვიდა საქართველოში; ვაზი, ტევანი, ვენახი ღვთისმშობლის სიმბოლოა, რაც არაერთგზის განმეორებულა ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში, რასაც, თავის მხრივ, შესაქმის წინასწარ-მეტყველურმა ხილვამ დაუდო საფუძველი: „ძილსა შინა ვხედვედ და იყო ვენახი წინაშე ჩემსა და ვენახს მას სამნი ძირნი და იგი აღმოსცენდა და აღმორძინდა მორჩი და მწიფე იყვნეს ტევანნი იგი ყურძენისანი“ [შეს. 40,10]. ეს თვალსაზრისი მრავალგზის დასტურდება წმიდა მამათა ნააზრევში.

არსენ ბულმაისიმისძე წმიდა ნინოს მოციქულს უწოდებს: „ბნელსა განჰყარე ბნელისა მოხუევითა ბრძენსა მეფესა მსგავსსა, კონსტანტინესა, ოდ კელოვანო მკურნალო და მოძღუარო, ვლიტანიობთ ჩუენ პირსა შენსა, ქალწულო, ქრისტეს ქადაგო და დიდო მოციქულო!“

„წმიდაო ნინო, მოციქულო ქრისტესო“, „ქრისტეს მოციქულო ნინო“. ქართული ეკლესია წმიდა ნინოს მოციქულთა სწორად მოიხსენიებდა. ივანე ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ პირდაპირ მოციქული მას პირველად ნიკოლოზ გულაბერისძემ უწოდა, მანამდე კი მას მხოლოდ მოციქულთა სწორად იხსენიებენო. ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულებაში „საკითხავი სუეტისა ცხოველისანი“ ვკითხულობთ: „ათორმეტთა თანა მეთცამეტე ჭეშმარიტი მოციქული და დედა ქართველთაჲ არის ნინო“. ცხადია, ეს თვალსაზრისი თვით ნიკოლოზის მსოფლმხედველობითა და XII საუკუნის მეორე ნახევრის იდეოლოგიითაა განპირობებული. საგულისხმოა, რომ „ნინოს ცხოვრებებზე“ შემდგომმა კვლევა-ძიებამ დაადასტურა, რომ ნინოს მოციქულს ადრევე უწოდებდნენ. კერძოდ, რ. სირაძემ დაიმოწმა „ნინოს ცხოვრების“ შატბერდულ-ჭელიშური რედაქცია, სადაც წმინდა ნინო უშუალოდ მოციქულად და მახარებლად აღიარებული. საჭიროდ მიმაჩნია იმის აღნიშვნა, რომ თავიანთ საგალობლებში ნინოს სწორედ მოციქულად იხსენიებენ X-XI საუკუნეების ანოშიმი ავტორებიც. პ. ინგოროყვას აზრით კი, IX-X საუკუნეების უცნობი ჰიმნოგრაფები [პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 640,654,681]. მოვიყვან ორ ნიმუშს პ. ინგოროყვას ხსენებული გამოცემიდან. „ნინო, მოწაფეო მაცხოვრისაო, და მოციქულო ჩრდილოდსა სოფლისაო, შენ ხარ მოძღუარ ქართლისაჲ, სუეტი ნათლისაჲ, ცუარი ღრუბლისაჲ, მზრდელი სულისაჲ, მასწავლელი სიხარულისაჲ“; „ესე არს მოძღუარი, მსგავს მოციქულთა, რომელი მოივლინა ჩრდილოდსა ქუეყანად და მადლითა საღმრთოდთა გამომიკსნა ჩუენ. ოჲ, შრომანი შენნი, სანატრელო მოციქულო, რომელნი ჰყვენ ჩუენდა მომართ, მეოხ გუეყავ სულთა ჩუენტათვს“. როგორც ჩანს, წმიდა ნინოს მოციქულად და მახარებლად ადრევე მიიჩნევდნენ, რასაც მოწმობს ლიტერატურული მონაცემები.

არსენის საგალობელში რამდენჯერმეა მითითებული, რომ ნინომ გამოიხსნა „შვილნი სიონისანი“, რომელნიც სწორედ მისგან არიან განათლებულნი, რომელნიც ადრე საცთურების ტყვენი იყვნენ. ერთგან ასეთი მიმართუაც გვხვდება: „ნინოჲს კსენებაჲ სიხარულისა ღირს არს, ხოროჲ განვაწყოთ, მორწმუნენო ქრისტესანო, აღვიტყუელნეთ დღეს ერნო და ნათესავნო, შვილნო სიონისანო, კმობდით ჩუენ თანა, ქრისტეს ქადაგებასა შევამკობდეთ ყოველნი“. ანდრია კრიტიელის „შობისათვს ღმრთისმშობლისა“, რომელიც სექტემბრის თვის საკითხავებშია

შეტანილი [გამოცემულია ნ. გოგუაძის მიერ], ღვთისმშობლის სიმბოლოებად მიიჩნევს სიონს, სახლს ღმრთისას, ტაძარს წმიდას. არსენის საგალობელი მრავალგზის მიუთითებს საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილობას, ამიტომ ქართველ მორწმუნეთაში მიმართვა – „შვილნი სიონისანი“, რომელიც სიმბოლურადაა გასააზრებელი, სავსებით ლოგიკურად და ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ, რადგან საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საგალობელთა შინაარსი აზრთა ლოგიკურ წყობას ემყარება და არსენის ეს საგალობელიც ამ შეხედულების დადასტურებაა. „წილად ხუდომილნი შენნი ქართველთა ერნი ნინოდს ღირსისა მიერ ქადაგებითა ვკმობთ შენდა მომართ“; „წილხვდომილთა შენთა განმანათლებლო ნინო“. წმიდა ნინომ ქართლში კერპები დაღეწა და დაამხო: „იგავთა მიერ მოსწავებულმან ცხადად ეგვპტისა ბომონნი დასცენ და ძირითურთ აღმოფხურენ, ღმრთისმშობელო მარიამ, და ნინოდს მიერ ქართლისა კერპნი წარწყმედად მისცენ, კურთხეულ ხარ შენ, ოჲ ქალწულო“. არსენი ღვთისმშობლის მონაცვლედ მიიჩნევს ნინოს და მათ მსგავსი ნიშნებით წარმოაჩენს, რასაც საფუძვლად ჰაგიოგრაფიული მონათხრობი უდევს ყოველთვის. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საგალობელში ქრისტეს კვართისა და სვეტი წმიდადს ხსენების ეპიზოდებიც: „აღიფხურნეს კერპნი საფართველითურთ მათით და აღემართნეს ქრისტეს ეკლესიანი, ჯუარსა ქრისტესსა კუართსა თანა და სუეტსა, ნაცვლად არმაზ ბილწისა, უგალობენ შვილნი სიონისანი, შენგან განათლებულნი“; „ეშმაკი, წმიდაო, შენ მიერ აღმოქმნილი, წინაშე სუეტსა და კუართსა საუფლოსა არღა სძრავს ჩჩვლთა, არამედ აღმოჰბადებს საცხებელთა წმიდითა შემზღუდველი. იხარებდ, ნინო ქალწულო, მოციქულო“; „აღემართა რა სუეტი წმიდაჲ შენ მიერ აპყრობითა კელთადთა, დაეცნეს ძალნი ეშმაკისანი და ქოთებითა ლტოლვილნი გოდებდეს მწარედ“. უფლის კვართის ამბავი, ცხადია, სახარების მონათხრობს ემყარება: „ერისგანთა მათ, რომელთა ჯუარს აცუეს იესუ, მოიღეს სამოსელი მისი და განიყვეს ოთხად ნაწილად, თითოეულმან ერისაგანმან ნაწილი, ხოლო კუართი იგი, რომელი იყო უკერველ, ზეით გამოქსოვილ ყოვლად. თქუეს უკუე ურთიერთას: არა განვხიოთ ესე, არამედ წილ ვიგდოთ მას ზედა, ვისაცა იყოს, რადთა აღესრულოს წერილი იგი: განიყოფეს სამოსელი ჩემი თავისა მათისა და კუართისა ჩემსა ზედა

განიგდეს წილი. ერისაგანთა მათ ესე ყვეს“ [იოანე, 19,23-24]. კვართის წილის გდებასთან დაკავშირებით საინტერესოა ფსალმუნის წინასწარმეტყველური სიტყვებიც: „განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი“ [ფს. 21,19]. უფლის კვართის შემდგომი ბედის შესახებ ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები მოგვითხრობენ, კერძოდ „ნინოს ცხოვრების“ რედაქციები. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულების „საკითხავი სუეტისა ცხოველისად, კუართისა საუფლოდ-საი და კათოლიკე ეკლესიისად“ მონაცემები, რომელშიც გადმოცემულია აბიათარ მღვდლის მონათხრობი უფლის კვართის შესახებ, როგორ ერგოთ იგი წილად მცხეთელ ელიოზს და კარსნელ ლონგინოზს, რომლებმაც კვართი მცხეთას ჩამოიტანეს, ელიოზის დამსიდონიამ გულში ჩაიკრა და სული განუტევა. მიცვალებულს ხელიდან ვერ გამოართვეს და ასევე დამარხეს. ეს ადგილი ნინოს მოსვლამდე არავინ იცოდა. შატბერდული რედაქცია გვამცნობს: „და არს ადგილი იგი, რომელი ღმერთმან იცის, და იცის დედამან ჩემმან ნინო და არა იტყვს, რამეთუ არა ჯერ არს სიტყუად აწ“.

ამასვე გვეუბნება ნიკოლოზ გულაბერისძე: „ადგილი იგი არავინ ჰსცნა მიერ უამითგან, ვიდრე დღესამომდე, სადა მდებარე არს წმიდად იგი კუართი“.<sup>2</sup> ამ ადგილს მიგვანიშნებს შატბერდული რედაქციით ლიბანის ნაძვი: „მახლობელ არს ადგილი იგი ნაძუსა მას ლიბანით მოსრულსა და მცხეთას დანერგულსა“ [შატბ. კრ., გვ. 339], ხოლო ნიკოლოზ გულაბერისძის თქმით, ამ ადგილს „ნათლისა სუეტი სამარადისოდ ბრწყინვალედ ზედა ენთებოდის, რომელი-ესე უკუე ასრეთ უცილობელი არს სათქმელადაც და საგონებლად, უკეთუმცა სხუაგან სადმე მდებარე იყო და არამცა სუეტსა ქუეშე“ [საქ. სამოთხე, გვ. 78]. როგორც ჩანს, ნათლის სუეტი-„სუეტი წმიდად“ უფლის კვართს ეყრდნობოდა, აქვე აღმართულა შემდგომ სუეტიცხოველის სახელით ცნობილი ტაძარი. რ. სირაძე შენიშნავს, რომ „უფლის კვართზე ნათლის სუეტის გააზრება სუეტიცხოველს უფლის აღდგომის იდეას სძენს“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> შატბერდის კრებული, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979, გვ. 339.

<sup>2</sup> საქართველოს სამოთხე, გვ. 78

<sup>3</sup> რ. სირაძე, ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, I, თბილისი, 1992, გვ.

არსენის საგალობელი მიუთითებს იმაზეც, რომ „სუეტი წმიდა“ ნინოს ხელთაღპყრობით აღემართა: „აღემართა რად სუეტი წმიდა შენ მიერ აპყრობითა კელთადთა“, რასაც ისევ ჰაგიოგრაფიული მონაცემები უდევს საფუძვლად-ტაძრის მშენებლობისას მეშვიდე სვეტი ვერ აღმართეს. „ნინოს ცხოვრების“ ძველ-შატბერდულ რედაქციაში შვიდი სვეტი არ ჩანს, მხოლოდ ერთია ნახსენები და იგი წარმოადგენს სწორედ ცხოველ სვეტს, ნაძვის ხისგან დამზადებულს. ლეონტი პროველი კი ადასტურებს შვიდი სვეტის არსებობას. ასევე შვიდ სვეტს ასახელებს ნიკოლოზ გულაბერისძე. სხვა მხრივ კი „ნინოს ცხოვრების“ ყველა რედაქცია ერთნაირად გადმოგვცემს ნინოს მიერ წმიდა სვეტის აღმართვას. როდესაც მეშვიდე სვეტი [ლეონტი პროველისა და ნიკოლოზ გულაბერისძის მიხედვით], ვერ აღმართეს, გათენებისას ილოცა წმიდა ნინომ, ნახა „ჭაბუკი ნათლითა შემკობილი, შემოსილი ცეცხლისა ზეწრითა და ჰრქუა სამნი სიტყუანი წმიდა ნინოს“ [საქ. სამოთხე, გვ.89], შემდეგ „ჭაბუკმან მან მიჰყო ხელი სუეტსა მას დიდისა და აღამალლა სიმალლესა შინა ზე ჰაერთა“, რის შემდეგაც იხილეს, რომ „სუეტი იგი ცეცხლის სახედ შეცუალებულ იყო და შთამოვიდოდა, რეცა ძრვით სიმალლისაგან ზე ჰაერთასა“ [იქვე]. სვეტი წმიდა ლიბანის ნაძვისა ერთხანს ჰაერში გაჩერდა, ბოლოს ნელ-ნელა დაეშვა დაბლა, მაგრამ საფუძველზე არ დამდგარა, თორმეტი წყრით მალლა გაჩერდა და სამუდამოდ ასე დარჩა. მთავარი სვეტის, დედაბოდის აღმართვა შეძლო ცეცხლის ზეწარმოსხმულმა ჭაბუკმა, ხოლო სვეტმა სახე იცვალა და ცეცხლის სახე მიიღო, ასევე დაეშვა იგი უკვე ნათლის სვეტად რომელიც მიწიდან ზეცად აღიწეოდა და თავზე ნათლის გვირგვინი ედგა. შატბერდული რედაქცია გვეუბნება, რომ მოსულებმა დილით „იხილეს საკვრველი იგი, ნათლითა მრწყინ-ვალუ სუეტი იგი ჩამოვიდოდა ადგილად თვისსა ზედა და დაემყარა კელთშეუხებელად კაცთაგან“. აღტაცებული ჰაგიოგრაფი დასძენს: „ნეტარ მას უამსა, რად იგი იქმნებოდა!“ არსენ ბულმაისიმისძის საგალობელი, მისი ჟანრული სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ აბეებს ასეთი სიღრმით არ გადმოგვცემს, ეს ასეც იყო მოსალოდნელი, მაგრამ საგალობელში მითითება იმაზე, რომ სვეტი წმიდა საუფლო ადგილას აღემართა, ადასტურებს ჰიმნოგრაფი კათალიკოსის დამოკიდებულებას უფლის კვართის მცხეთაში ჩამოტანის, მისი იქ დაფლვისა და მის ადგილზე სვეტი ნათლისას აღმართვის ლიტერატურული

ტრადიციისადმი. ნინოს ქადაგების შედეგად მოისრნეს კერპნი და ბომონნი და მათ ნაცვლად ქრისტიანული ეკლესიები აღიმართნენ; „ბილწი არმაზის“ ნაცვლად „შვილნი სიონისანი, ნინოსაგან განათლებულნი, უგალობენ ჯუარსა ქრისტესსა კუართსა თანა და სუეტსა“, საგალობელში სამი სიწმიდეა ერთად მოხმობილი: ჯვარი, საუფლო კვართი და სვეტი [სვეტი ცხოველი, სვეტი წმიდა]. სამივე სიწმიდის ერთად მოხსენიება ნიშანდობლივია, რადგან ისინი ურთიერთკავშირში არიან. წმიდა მამათა მოძღვრების მიხედვით, ჯვარი ადამიანის სულიერი ხსნისა და ზესწრაფვის სიმბოლოა, რასაც უშუალოდ უკავშირდება სვეტი ნათლისას აღმართვა. როგორც ჩანს, ამიტომაცაა არსენის საგალობელში ერთ რიგში მოქცეული ჯვარი, საუფლო კვართი და სვეტი წმიდა, სვეტი ცხოველი; რ. სირაძის აზრით, იქნებ ამანაც განაპირობა კვართის ადგილზე სვეტი-ცხოველის ტაძრის აშენება, რომელიც 12 მოციქულის სახელობისაა, და მასთან ახლოს ჯვრის სამონასტრო კომპლექსის შექმნაც. ყოველივე ეს კი ნინოს ცხოვრება-მოღვაწეობას უშუალოდ უკავშირდება. საგალობელში უფლის კვართზე ყურადღების გამახვილება განაპირობა იმან, რომ საუფლო კვართი ერის ღიდების ღვთისაგან განგებული ნიშანია, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი უნდა ყოფილიყო საქართველოს კათალიკოსისათვის, არსენ ბულმაისიძისძისათვის, რომელმაც მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილ საგალობელებში ქართულ მსატვრულ ლიტერატურაში დამკვიდრებული ტრადიცია გააგრძელა, როდესაც განაცხადა, რომ ქართველები წარმოადგენენ „ერსა საზეპუროსა“ და „ქართველთა სამეუფეო არასადა უმრწემეს ყო“ ღმერთმან [A-85]. ქართველი ერის „საზეპუროდ“ ანუ ღვთის საკუთარ ერად [შდრ. II შჯ. 6,7; I მფ. 12,22; გამოსლვ. 19,5] მიჩნევა XIII საუკუნის 20-30-იანი წლების საქართველოს სინამდვილეში მრავლისმეტყველი ფაქტი იყო, რადგან ერს მონღოლთა შემოსევებით შელახული ღირსების აღდგენისა და დაცვის სურვილს აღუძრავდა, მამულისა და რწმენის დაცვის აუცილებლობას უკარნახებდა. ჩვეულებრივ, სასულიერო პოეზიაში დროისა და სივრცის დაკონკრეტება ჭირს, რადგან ჰიმნოგრაფები ძირითადად წარმოსახვით სამყაროს წარმოაჩენენ, ფაქტებიც განზოგადებულად არის წარმოდგენილი, ხოლო ისტორიული სინამდვილე ნაკლებად აირეკლება, შეიძლება ითქვას, თითქმის არ ჩანს, მხოლოდ ალუზიებით თუ არის წარმოსახული.

არსენის მიერ წმიდა ნინოსადმი საგალობლის მიძღვნა და მასში სამი სიწმიდის-ჯვრის, საუფლო კვართისა და წმიდა სვეტის ერთად ხსენება ქვეყნისათვის უძძიმეს ჟამს ხსნისა და გადარჩენის სურვილითა და იმედით იყო ნაკარნახევი.

ჰიმნოგრაფიის მრავალფეროვანი მხატვრული აქსესუარიდან არსენის საგალობელში ყურადღებას იმსახურებს ნათლის ტროპიკა. სულიერი ნათლის ხილვაა ნაგულისხმევი ავტორის სიტყვებში: „აღმოსავალო, დასავალსა პატივ ეც, ხოლო ჩრდილოო, თემანსა უკუნჰრიდე, რამეთუ ბნელისა განქარვებად მზე მოვალს და ყინელისა გადნობად მცხინვარებად, ქრისტეს ქადაგებითა შემოვალს ნინო!“

მზე ქრისტეს სიმბოლოა ქრისტიანულ მწერლობაში, იოანეს სახარებაში ვკითხულობთ: „მე ვარ ნათელი სოფლისად“ (ი, 8, 12) ; „გამობრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზედ“ [მთ. 17,2]. ნინომ უნდა შთააგონოს „შვილთა სიონისათა“: „შეიმოსეთ ქრისტეს ნათელი ნათლის ღებითა“. არსენის საგალობლის ზემოთ მოყვანილი სტროფი ღრმა სიმბოლიკითაა დატვირთული, ჰიმნოგრაფი აღმოსავლეთს დასავლეთის პატივისცემას ურჩევს, ხოლო ჩრდილოეთს-სამხრეთისაგან განრიდებას. ქრისტიანულ მწერლობაში<sup>4</sup> აღმოსავლეთი ნათლის საწყისად, დასაბამ ადგილად არის მიჩნეული, რის საფუძველსაც სახარება იძლევა: „აჰა მოგუნი აღმოსავალით მოვიდეს იერუსალუმდ და იტყოდეს: სადა არს ახლად შობილი იგი მეუფეჲ ჰურიათად? რამეთუ ვიხილეთ ვარსკულავი მისი აღმოსავალით და მოვედით თაყუანის-ცემად მისა“ [მთ, 2,1-2]; „ხოლო მათ ვითარცა ესმა ესე მეფისა მისგან, წარვიდეს და აჰა ვარსკულავი იგი, რომელი იხილეს აღმოსავალით, წინა-უძლოდა მათ, ვიდრემდე მოვიდა და დაადგრა ზედა ადგილსა მას, რომელსა იყო ყრმაჲ იგი“ [მთ, 2-9]; დასავლეთი მიჩნეულია იმ ადგილად, საითკენაც მიისწრაფვის ნათელი, ხოლო სამხრეთი [საგალობლის მიხედვით თემანი] მზის საუფლოა, მზე კი ქრისტეს სიმბოლური სახელია. ჩრდილოეთი უმზეო მხარეა, ე.ი. ღვთაებრივ ნათელს მოკლებული, ბნელის მომცველია და მის „განქარვებად მოვალს მზე“, „მზე სიმართლისა“, „ნათელი მიუაჩრდილებელი“, „ნათელი დაუღამებელი“. სიმბოლურადვეა წარმოსახული მირიანის სულიერი ფერისცვალება ისე, რომ პირველი ქრისტიანი

<sup>4</sup> მხარეთა სიმბოლური გააზრება იხ. პ. ფლორენსკის ს. ავერინცევის, ვ. ბიჩკოვის, რ. სირაძის შრომებში.

ქართველი მეფის სახელი არცაა ნახსენები, მინიშნებულია მხოლოდ, რომ იგი ბიზანტიის პირველი ქრისტიანი იმპერატორის-კონსტანტინეს მსგავსია: „ბნელსა განჰყარე ბნელისა მოხუევითა ბრძენსა მეფესა მსგავსსა კონსტანტინესა, ოდ , კელოვანო მკურნალო და მოძღუარო, ვლიტანიობთ ჩუენ პირსა შენსა, ქალწულო, ქრისტეს ქადაგო და დიდი მოციქულო“. ჩრდილოეთისგან, ბნელისგან მხსნელადაა მიჩნეული წმიდა ნინო: „ჩრდილით, უფროდსლა ბნელით უკუნ მოძკველით, შენ მიერ კსნილნი, ოდ ქრისტეს მოციქულო ნინო, ყოველი ერი ქართველთად გიძნობთ და ვედრებით ვკმობთ: ძკრნი თანაწარგუკადენ, დასცენ ეშმაკნი, მაჭირვებელნი ჩემნი“. „ნინოს ცხოვრების“ ყველა რედაქცია გვამცნობს, რომ ნინო ტყვე და ტყვეთა მხსნელია. ამ თვალსაზრისს არსენი საგალობელიც იზიარებს: „სამეუფოთა ეზოთა შეგიწყნარეს, ვითარცა ტყუე და უცხოდ, რომელმან განგუათა-ვისუფლენ ქუესკნელისა ტყუეობითა და ძე ღმრთისად გუფიცენ, ოდ ნინო, მოციქულო ქრისტესო, მახარებელო ცხოვრებისაო“, „ნესტუთა სიტყუათა შენთასა იოხრეს რად, განაფრთხვნეს ერნი ვითარ სამეფოთა საყვრთა კმამან, და შეიძრნეს მეფენი სამეფოდურთ, კმა-ყვეს, ტყუეო და ტყუეთა მკსნელო, კურთხეულ არს შემოსლვად შენი“. საქართველოს განმანათლებელი, მახარებელი, ქრისტეს მოციქულად აღიარებული წმიდა ნინო ტყვეა, რასაც ბერძნული წყაროებიც ადასტურებენ. რ. სირაძემ სპეციალური კვლევის საგნად აქცია ნინოს ეპითეტები-ტყვე და დედოფალი, რომლებიც ანტინომიური სიმბოლიკის შეწყვილებად მიიჩნია. მისი აზრით, არაა გამორიცხული, რომ „ტყვე“ ქრისტიანულ იდეალს გამოხატავდეს. როგორც ჩანს, ქრისტოლოგიური თვალსაზრისით ნინო სულიერი მეუფე „მონაა“, რადგან ევანგელური სწავლებით, ქრისტე ჯვარს ეცვა, ვითარცა მონა, თვითონ უფალმა იკისრა მონის ბედი, როგორც მხსნელმა, რადგან ხალხის სულიერი მხსნელი შეიძლება იყოს მხოლოდ მისი მონა. ამიტომ ძირიან მეფის წარმოდგენაში ნინოს „ტყვეობა“ და ქრისტეს „მონობა“ ერთმანეთს უკავშირდება<sup>5</sup>. უფლის მონად მიჩნევის ტრადიცია ბიბლიური წიგნებიდან მომდინარეობს. კერძოდ უფლის მონად მიიჩნევს თავს ღვთის წინასწარმეტყველი: „სიმართლენი შენნი მასწავენ მე. სიტკბოებად ჰყავ მონისა შენისა თანა, უფალო, სიტყვსაებრ შენისა“

<sup>5</sup> რ. სირაძე, ქართული აგიოგრაფია, თბ., 1987, გვ. 98-102

[ფს. 118, 54-65]. „იყავნ წყალობად შენი ნუგეშინის-მცემელ სიტყვსაებრ მონისა შენისა“ [ფს. 118,76]. „შემიწყნარე მონად შენი კეთილსა შინა, და ნუ ცილსა შემწამებენ მე ამპარტავანნი“ [118,122]. „ყავ მონისა შენისა თანა წყალობისაებრ შენისა და სიმართლენნი შენნი მასწავენ მე“. „მონად შენი ვარ; მეცნიერ-მყავ მე, და გულისკმა-ვეყნე წამებანი შენნი. ჟამი არს მსახურებად უფლისა, რამეთუ განაქარვეს შჯული შენი“ [118,124-126]. „გამოაჩინე პირი შენი მონისა შენისა ზედა და მასწავენ მე სიმართლენი შენნი“ [118,135].

ჰიმნოგრაფიის ჟანრული სპეციფიკა ამგვარი ახსნის საშუალებას არ გვაძლევს, რაც მოულოდნელი არც არის, რადგან იგი ძირითადად ევანგელურ და ჰაგიოგრაფიულ მონათხრობს ემყარება და მსმენელისა თუ მკითხველის ცოდნას, განათლებას ენდობა. არსენის საგალობელი ნინოს აღიარებს ტყვედ, უცხოდ, ტყვეთა მხსნელად, ხოლო თუ რატომ მოიხსენიებს მას ამგვარად, სწორედ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა მონაცემების გათვალისწინებით ხდება შესაძლებელი.

არსენ ბულმაისიმისძის საგალობელში შეინიშნება ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რაც ქების ობიექტის მოღვაწეობითაა განპირობებული. ცნობილია, რომ ჰაგიოგრაფია ერის თვისებებს წარმოადგენს ორმხრივად-დადებითითა და უარყოფითით. ჰიმნოგრაფიაში ჟანრული თავისებურებების გამო ამგვარი რამ იშვიათია. ნინოსადმი მიძღვნილი არსენის თხზულება ამ თვალსაზრისით საინტერესო მასალას იძლევა, მასში ისტორიული დროითაა შემოსაზღვრული ქართველთა უარყოფითი თვისება, რაც იმით გამოიხატა, რომ ერი ნინოს მოსვლამდე იმყოფებოდა „სატანადსთა პყრობილებასა შინა“, მხოლოდ ნინოს მოციქულობამ და ქადაგებამ იხსნა იგი „ქუესკნელისა ტყუეობისაგან“, „უცნობელთა და მძიმეთა საბურველი გულითად აღგუეკსნა და ლოდები აღელო სამარეთაგან და დაყროლებულნი მკუდარნი საყვრთა მიერ შენთა აღვემართენით, წმიდაო ნინო, მოციქულო ქრისტესო“; „განღებულ იქმნა ქუესკნელისა ბჭეები, მკუდარნი, მას შინა პყრობილნი სატანადსნი, განვთავისუფლდით შემოსვლვითა შენითა, არმაზს შეედვა ძრწოლად მეხისტეხითა და ზედენისნი უკმარ იქმნეს სიცბილნი“. ამ მხრივ, არსენ ბულმაისიმისძე ქართულ ჰიმნოგრაფიაში დამკვიდრებული ტრადიციის გამგრძელებელია, რადგან „ქუესკნელის ტყუეობისაგან“ ხსნის მოტივი გამოკვეთილია როგორც ქრისტესადმი, ასევე ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ საგალობლებში. უძველეს

იადგარში ვკითხულობთ: „ქუესკნელი ჯოჯოხეთი წარმოსტყუენე და პირველად შექმნულ ადამ აღადგინე და აღდგომაჲ ყოველთა მოგუანიჴე ჯუარითა შენითა, ქრისტე“ [უძვ. იადგ. გვ. 466]; „რომელმან ჯუარსა ზედა კელნი განიპყრენ და ჯოჯოხეთი წარმოსტყუენე, განანათლენ მყოფნი ბნელისანი“ [იქვე, გა. 467]; „ივნე ვნებაჲ ნეფსით ჯუარსა ზედა, მაცხოვარ, და წარმოსტყუენე ჯუარითა ძლევიტ ჯოჯოხეთი და ადამ აღმოიყვანე კრულებისაგან და დასაბამითაგანნი მკუდარნი აღადგინენ ძლევიტა“ [იქვე, გვ. 384]. „რომელმან ჯუარითა ნათელი გვჩუენე და ბნელი განგუაშოვრე, სიმდიდრე გამოუჩინებელი გამოუცხადე და სოფელი განანათლე... რომელმან კრწნილებაჲ ჩუენი უკრწნელებაჲ გარდასცვალე და პირველშექმნული ადამ ბჭეთაგან სიკუდილისათა აღმოიყვანე და მოკუდავებაჲ ჩუენი უკვდავებაჲ გარდასცვალე... რომელმან ბჭენი რვალისანი შეკმუსრენ ჯუარითა და მას შინა მყოფნი აღმოიყვანენ ნათლად და მოგუანიჴე ჩუენ ნათელი ღმრთეებისა შენისაჲ“ [იქვე, გვ. 311]. მდიდარ მასალას იძლევა ამ თვალსაზრისით ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანები, რომლებშიც უშუალოდ ღვთისმშობელთან არის დაკავშირებული სულის ხსნა. მოვიყვანთ რამდენიმე მათგანს: „სიღრმეთაგან ცოდვათაჲსა და მოქცევისაგან ბრალთაჲსა აღმოიყვანენ ჩუენ, ქალწულო მარიამ, რამეთუ შენ ხარ მყუდროდ ნავთსაყუდელი მოსავთა შენთაჲ“ [ძლისპ. გვ. 93]; „ბუნებათა უაღრეს კშევ, ღმრთისმშობელო, კაცთათჳს მშვიდობაჲ, და სიღრმისაგან ბნელისა იკსნენ ადამეანნი“ [იქვე, გვ. 190]; „ზარ-სცემდა საშინელებით და გეტყოდა: „გიხაროდენ, ქალწულო, რამეთუ შენგან იშვეს კორციტა ღმერთი დაბადებულთაჲ, რომელმან აღმოიყვანოს განხრწნისაგან ცხორებაჲ კაცთაჲ“ [ნეემ. ძლ., გვ. 415]; „გიხაროდენ, ქალწულო ყოლად წმიდაო, შენ მიერ იქმნა კსნაჲ კაცთა ნათესავისაჲ და გუელი იგი მოშურნე მოიკლა, რამეთუ, რაჟამს ამაღლდა ძე შენი და ღმერთი ჩუენი ჯუარსა ზედა, ჯოჯოხეთი შემუსრა ძლიერებით, სულნი მომწყდარნი განათავისუფლნა... ქალწულო, შენ ხარ მშობელი მეუფისაჲ და მკსნელი სულთა ჩუენთაჲ“ [იქვე, გვ. 833]; მინჩხის საგალობელთა მიხედვით, ადამიანთა ბუნების აღსადგენად, განსაახლებლად ევნო ქრისტე და განაქარვა ბნელი, ქვესკნელის შემუსრვით პყრობილნი სულნი გამოიხსნა: „მან ღმრთეებით შემუსრნა ქუესკნელი და პყრობილნი სულნი აღმოიყვანნა“ [იოანე მინჩხი, გვ. 293]; „ჯუარს-ეცუ კორციტა ბუნებით უვნებელი ღმრთეებაჲ, შთაჰკედ ქუესკნელად

და განაქარვე მთავრობა ბნელისად და აღადგინე ბუნებად კაცთად, დანთქმული ბუნებად კაცთად და გადიდებდა“ [იქვე, გვ. 299].

იოანე მინჩხთან დიდი შაბათის საგალობლებში ვხვდებით მიმართვას ჯოჯოხეთს პყრობილთა მიმართ, რომ „მოწევნულ არს უამი მათი“: ... დაღვა სამარესა, თუალთშეუდგამი ნათელი მღვმესა ბნელსა, აწ იხარებდით, პყრობილნო ჯოჯოხეთისანო, მოიწია გამოკსნად თქუენი“ [მინჩხი, გვ. 280]. იქვე „სხუანებში“ შეტანილ საგალობელში უჩვეულო პოეტური ძალითაა წარმოსახული ჯოჯოხეთის გვემის, ადამის განთავისუფლების, ადამიანთა სულის ხსნის ყოვლისმომცველი სურათი: „...დაღაცათუ მგლოვარე იქმნეს ერნი იგი ზესკნელისანი დაფლვასა შემოქმედისასა, ხოლო განმხიარულდეს ქუესკნელისანი, რამეთუ განბრწყინდეს დაშჯილნი წყდუდიადსა შინა აწ საღმრთოდთა ბრწყინვალეებითა. აწ იგუემების ჯოჯოხეთი, აწ შეიძრვის სიმტკიცე მისი, აწ შეიწურვის საშინელებით საღმრთოდთა მით სულითა იესუსითა, რომელი დაიდვა მღვმესა, ქუესკნელსა ბნელსა და აჩრდილთა სიკუდილისათა. აწ განთავისუფლების ადამ, აწ იკსნების ნათესავითურთ და აღმოიყვანების ნათლად მის მიერ...“ [იქვე, გვ. 281-282].

ქრისტეს ჯვარცმით დაიძლია ჯოჯოხეთი, სიკვდილით დაითრგუნა სიკვდილი, რაც ადამის ბუნების განახლებას მოასწავებს, ხოლო რადგან მარიამი, უბიწო ქალწული, უქორწინებელი, უსძლო არის მშობელი მეუფისა და მაცხოვრისა, ამდენად, თვითონაც მხსნელია. პავლე მოციქული მრავალგზის აღნიშნავს თავის ეპისტოლეებში: „კეთილ არს ბაძვად კეთილისათვის“ [გალატ. 4,18], „მობაძავ ჩემდა იყვენით“ [I კორ. 4,16]. ღვთისმშობელი ღვთის მობაძავია, რადგან იგი თავისი ლოცვითა და მეოხებით აღმოიყვანს ადამიანთა სულებს ბნელისაგან და განანათლებს. არსენ ბულმაისიმისძის წინამორბედი, თამარის თანამედროვე ჰიმნოგრაფი იოანე შავთელი სწორედ ღვთისმშობელს მიმართავს: „უჩინოთაგან მღვმეთა სოფლისათა ექსორიობად ჩემი აღმოიყვანე, ორბებ განახლდი სიჭაბუკე სულისად, ბრალთაგან მიკსენ ძლიერმან, დიდებულო, ინებე ყოფად ჩემ შორის, უბიწო“ [ქართ. პოეზია, I, გვ. 200]. როგორც ზემოთ აღინიშნა, ღვთისმშობელმა საქართველოში, თავის წილხვედრილ ქვეყანაში, ქრისტიანობის გასავრცელებლად წმინდა ნინო წარმოგზავნა, ე.ი. წმინდა ნინო ღვთისმშობლის მონაცვლეა და მისადმი მიძღვნილი არსენის საგალობლის მიხედვით მისივე მოციქულობის (ბაძვის) შედეგად „ქუესკ-

ნელის ტყვეობიდან“ განთავისუფლდა ქართველობა. ნიკოლოზ გულაბერიძის სიტყვით: „ძუელნი და მამულნი იგი სჯულნი და ბომონთა ნაგებნი შეგუეცვალნეს საკვრველად და მათ წილ მოგაქუს წმიდაჲ საყდარი და მიჰრონი და სუეტი ცხოველი სასოდ ჩუენდა“ [ქართ. პოეზია, I, გვ. 203]. საგულისხმო ისიცაა, რომ ნიკოლოზ გულაბერიძემ თავისი თხზულების „გიხაროდენის“ ნაწილში წამოსწია ცხოველი სუეტის განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა კერპთა დამხობასა და ჭეშმარიტი სარწმუნოების აღმოჩენაში: „გიხაროდენ, კერპთა ვიდრემე სიბოროტისა წარმწყმედელო, ხოლო ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა აღმომაჩინებელო! გიხაროდენ, რომელმან ნათელშეცუვილ ჰყვენ მკვდროვანნი! გიხაროდენ, რომელმან მოსრენ ძენი აგარისნი უსჯულონი და აღადგინე რქად მაცხოვრებისად! გიხაროდენ, წინამბრძოლო უძლეველო ქრისტიანეთაო, ღმრთისა კაცთა დამაგებელო!“ [იქვე, გვ. 206]. ეს პარალელები ქართული ჰიმნოგრაფიული ძეგლებიდან იმაზე მიუთითებს, რომ სასულიერო მწერლობაში, კერძოდ პოეზიაში, დამკვიდრებულია მსგავსი თემატიკა, მსგავსი მოტივები, მსგავსი სიმბოლოები, მსგავსი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები. საგანთა და მოვლენათა კონკრეტული და სიმბოლური აზრი საგალობელში ერთმანეთს არის გადაჯაჭვული, ხოლო ამ სიმბოლიკაში გარკვევა თხზულების სწორი აღქმისთვისაა აუცილებელი.

არსენ ბულმაისიძის დამოკიდებულება მხატვრული სიტყვისადმი ტრადიციულია, ისეთია, როგორც სასულიერო პოეზიაშია დამკვიდრებული. იგი აღწევს სიტყვის გამომსახველობითი ძალის მაქსიმალურ გამოვლენას. სიმბოლოებითა და მხატვრული სახეებით აზროვნება ესთეტიზმისა და რელიგიურის საფუძველს ქმნის, რაც თავისთავად განამტკიცებს თვალსაზრისს რელიგიურის, ეთიკურისა და ესთეტიკურის გაუთიშველობის შესახებ. ამიტომ წმიდა ნინოს შედარება ლომსა და ორბთან, რასაც საფუძველად ფსალმუნის მონაცემები დაედო, მისი ძალმოსილების, ძლიერების, შინაგანი ხილვის მაუწყებელია. მეშვიდე ფსალმუნში იკითხება: „ნუსადა წარიტაცოს ვითარცა ლომმან სული ჩემი, არავინ იყოს მკსნელ ჩემდა, არცა მაცხოვარ“ [7,3]. ლომის მეტაფორული სახე იოანე მინჩხის საგალობელშიც გვხვდება: „ვითარცა ლომმან მიყრდნობით მიიძინა“ [მინჩხი, გვ. 294], რომელშიც ქრისტეს მიცვალების ზებუნებრივი

სურათია წარმოსახული. ერთდროულად შედარებაცაა და მეტაფორაც. ლომი ქრისტეს სიძლიერის სიმბოლოა, ხოლო მაცხოვრის გარდაცვალება დიადი მიძინების მხატვრული სახითაა გადმოცემული. არსენის საგალობელი გვაუწყებს: „ლომებრ ახოვან იყავნ, ბრძენო გულითა! არა გრცხუენოდა ქადაგებად ქრისტესა, პართნი ალავსენ სასწაულთა ელვითა, გაიანე და რიფსიმე ძღუნად მიუპყრენ ქრისტესა, ხოლო მან ჩუენტვს დაგმარხა“! „ლომებრ ახოვანებით“ წმიდა ნინოს გვერდით სწორედ გაიანესა და რიფსიმეს მოხსენიება იყო აუცილებელი, ნინოს შედარება ლომთან მოციქულის ქრისტეს ძალმოსილებით შემკობას მოასწავებს<sup>6</sup>. მომდევნო სტროფში ორბთან შედარება კი სულიერი განახლების მიმანიშნებელია: „ორბებრ გუგასა შინა მხედველობითსა შეიკრიბე შენ სივრცე სოფლისაჲ, ნინო, და განიცადენ უჭმნი საჭმელად კეთილნი და მიმართე, ვიდრემდე ბრჭალსა შენსა კელთ უხსენცადიდი სანოაგედ მოქმედმან“. ცხადია, შედარება-მეტაფორის რეალურ მხატვრულ წყაროდ კვლავ ფსალმუნი უნდა იქნეს მიჩნეული: „რომელმან ალავსო კეთილთა მიერ გულის-თქუმაჲ შენი; განახლდეს, ვითარცა ორბისა, სიჭაბუკე შენი“ [ფს. 102,5]. საგალობლებიდან პარალელთა მოხმობა შორს წაგვიყვანს. ასევე, ნინოს შედარება წმიდა მტრედთან მრავლისმეტყველ მხატვრულ საშუალებად უნდა აღვიქვათ, მტრედი ხომ სიწმინდის სიმბოლოა: „ბარბაროზნი და უჟიკნი ქედფიცხელნი ტრედმან წმიდამან, დასავალით მკობებელმან, სიტკბოებათა თვსთა მიერ დუმილით კელთ უხსნა შემოქმედსა, სძალმან წმიდამან სიძესა თვსსა, განზანილნი მადლითა“. საგალობელში წმიდა ნინოს მკურნალად მოხსენიება სასწაულებრივთან ერთად სულიერ განკურნებასაც გულისხმობს.

წმიდა ნინოსადმი მიძღვნილი საგალობელი გამოირჩევა შინაგანი რიტმით, რასაც მისი ყოველი მუხლის წაკითხვა გვაგრძნობინებს, მაგრამ მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებისა და საშუალებების გამოყენების თვალსაზრისით იგი საკმაოდ განსხვავდება კლასიკური ხანის ჰიმნოგრაფიისაგან. შესაძლოა, ეს ფაქტი ჟანრის ისტორიული განვითარების შედეგიც იყოს. თუმცა აქა-იქ მაინც ვხვდებოდით

<sup>6</sup> საინტერესოა ბასილი კესარიელის მსჯელობა-ინტერპრეტაცია ლომის შესახებ თხზულებაში „მკეცთათეს სახისა სიტყუად წიგნთაგან თქუებული წმიდისა ბასილი ეპისკოპოსისა კესარიელისაჲ“, იხ. შატბერდის კრებული, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979, გვ. 175-176.

ზოგიერთ მხატვრულ ხერხს, მაგალითად ეეფონია შეიძლება დავასახელოთ დასადასტურებლად და მოვიტანოთ ერთი მუხლი საგალობლიდან: „რაბამ რაიმე არს კსენებაი ესე შენი, რაბამ საკვრველ მოქალაქობად შენი, რაბამ შუენიერ მოციქულებად შენი, და ყოველივე სიკეთითა აღსავსე, ქალწულებითა შემკობილო, ოდ ნინო“. სტროფი ანაფორული კომპოზიციითაა აგებული. სიტყვის „რაბამ“ სამგზისი გამეორება მთელ სტროფს აზრობრივი და ემოციური დატვირთვით გამოარჩევს, სიტყვის გამეორებით ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელსა თუ მკითხველზე, ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს მას, სიდიადის, ამაღლებულის განცდას, სიმშვიდისა და ლოცვის განწყობილებას ბადებს.

არსენ ბულმაისიმისძის „გალობად წმიდისა მოციქულისა ნინოდსი“ მრავალმხრივ საყურადღებო და მნიშვნელოვანი ძეგლია, შესრულებული ამაღლებული სტილით, ზეაწეული ინტონაციით, რომელშიც ჰიმნოგრაფი მზა მხატვრულ სახეებს, გამოთქმებს, რელიგიურ-დოგმატურ ფრაზეოლოგიას იყენებს და რასაც საფუძვლად ჰაგიოგრაფიული მონათხრობი უდევს. ავტორი საგალობელს ქმნიდა საქართველოს ძნელბედობის ჟამს, როდესაც უცხო სარწმუნოებისა და უცხო ტომის ხალხი ცდილობდა ჩვენი ქვეყნის დაპყრობას, საფრთხე ემუქრებოდა ქრისტიანობას, ერს მოელოდა სულიერი გადაგვარება. სწორედ ამ დროს შეახსენა საქართველოს კათალიკოსმა, სულიერმა მოძღვარმა არსენ ბულმაისიმისძემ წმინდა ნინოს ღვაწლი და დამსახურება ქართველ ერს.